მოწვევა წინადადების წარსადგენად

შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სასწავლო პროგრამის კომუნიკაციისა და მარკეტინგის გეგმის შემუშავება

პროექტის დასახელება: შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება ენერგოეფექტურ მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში

პროექტის პარტნიორი- ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი და რეგიონები

სავარაუდო ხანგრძლივობა -1 თვე

წინაისტორია:

პროექტი "**შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება ენერგოეფექტურ მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში**" ხორციელდება პროგრამა RECONOMY-ს ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ და ხორციელდება HELVETAS Swiss Intercooperation (Helvetas)-მიერ

RECONOMY-ის მთავარი მიზანია მისცეს საშუალება ქალებს და ახალგაზრდებს, მათ შორის ყველაზე დაუცველებსა და იზოლირებულებს, ისარგებლონ ეკონომიკური შესაძლებლობებით მათი შემოსავლების გაზრდით და ღირსეულ და მწვანე სამუშაოებში ინკლუზიური და მდგრადი გზით დასაქმებით. მთავარი მიზნის მისაღწევად RECONOMY მუშაობს სამი მიმართულებით: მომსახურება, კომპეტენციები და გავლენა.

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა საჭირო კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალას მოითხოვს. საჭიროა კვალიფიციური მუშახელი, რომელიც აცნობიერებს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც მწვანე ეკონომიკა გვთავაზობს და ხელი შეუწყოს მწვანე ზრდას. განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა გამოიწვევს სამუშაო ადგილების ზრდას ქვეყანაში, როგორც უშუალოდ ამ სფეროებში, ასევე განახლებადი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წარმოებაში, ინფრასტრუქტურაში და ა.შ.

განახლებადი ენერგიის სფეროში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელება და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა სექტორში, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულება, შექმნის მოთხოვნას კვალიფიციურ და სერტიფიცირებულ მუშახელზე.

RECONOMY თანამშრომლობს და მხარს უჭერს ენერგოეფექტურობის ცენტრ საქართველოს (EECG) ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და ამოქმედებაში, რომელიც მოამზადებს შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების (EPC) ექსპერტებს. პროექტის მთავარი მიზანია გაუმჯობესოს ქალებისა და ახალგაზრდების უნარები განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურობის სფეროში და შენობების ენერგოეფექტურობის მახასიათებლები, შესაბამისი ბაზრის განვითარებითა და ახალი, მოთხოვნადი სასწავლო კურსის შემუშავებითა და ამოქმედებით შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატორებისთვის (EPCs). ამ გზით, EECG აფართოებს მწვანე დასაქმებისა და შემოსავლის შექმნის შესაძლებლობებს ქალებსა და ახალგაზრდებს შორის, შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ბაზრის მზარდ მოთხოვნას შენობების ენერგოეფექტურობის შესაფასებლად საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალებზე

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო იწვევს კომუნიკაციებისა და მარკეტინგის დაინტერესებულ კომპანიებს/სპეციალისტებს, გამოგზავნონ წინადადებები კონკურსში მონაწილეობისთვის, კომუნიკაციისა და მარკეტინგული გეგმის შემუშავების მიზნით, რომლის მიზანია ბაზრის სხვადასხვა მონაწილეებს შორის სარეკლამო კამპანიის ჩატარება ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების მნიშვნელობის შესახებ, EECG ტრენინგ კურსის მიზნობრივი პოპულარიზაცია პროფესიონალებისთვის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისთვის.

შესასრულებელი ამოცანები

მარკეტინგისა და კომუნიკაციის გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:

კამპანიის მიზანი იქნება
შენობების პოტენციური მყიდველების და საბოლოო მომხმარებლების, მათ შორის ოჯახების, ცნობიერების ამაღლება შენობებში ენერგოეფექტურობის სტანდარტების დადგენის მნიშვნელობის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეს სტანდარტები არა მხოლოდ შენობის მაცხოვრებლების ცხოვრების უკეთეს ხარისხს კომფორტისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზით, არამედ ასევე ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევას, ენერგოდანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირებით.

- უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ენერგოეფექტური შენობები მნიშვნელოვნად ამცირებენ ენერგიის მოხმარებას და უფრო ხელმისაწვდომს ხდიან კომუნალურ მომსახურებას ყველასთვის, განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის, მარტოხელა ქალებისთვის და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

- დეველოპერების, არქიტექტორების, სამშენებლო კომპანიების და ბაზრის სხვა მონაწილეების **ცნობიერების ამაღლება** შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების მნიშვნელობის შესახებ, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო გასაყიდი ან გასაქირავებელი ქონების ენერგოეფექტურობის შესახებ.

შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სასწავლო პროგრამის პოპულარიზაცია პროფესიონალთა შორის, მიმართული ახალგაზრდა მამაკაცებსა და ყველა ასაკის ქალებზე, რომლებსაც სურთ შეიძინონ ახალი კვალიფიკაცია, რომელიც ეფუძნება მათ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

- უფრო კონკრეტულად: ენერგეტიკის სექტორში ქალების გაძლიერება **შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სასწავლო პროგრამის პოპულარიზაციის გზით.** კამპანიამ უნდა გაითვალისწინოს ისეთი ბარიერების არსებობა, როგორიცაა გენდერული მიკერძოება და ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა სექტორში, და ხაზი გაუსვას მხარდაჭერის იმ სტრუქტურებსა და სარგებელს, რომელიც სპეციალურად ხელმისაწვდომია ქალებისთვის, ისეთს, როგორიცაა ტრენინგის მოქნილი გრაფიკი, მენტორობის შესაძლებლობები და წვდომა სექტორის პროფესიონალ ქალთა ქსელზე.

მარკეტინგისა და კომუნიკაციის გეგმის შეიმუშავება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:

1. ბაზრის ანალიზი:
• ბაზრის მიმდინარე სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზის ჩატარება, სამიზნე ბაზრის დემოგრაფიული მდგომარეობის, ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული ბაზრის ტენდენციებისა და მსგავსი სასწავლო პროგრამების ეფექტურობის შეფასება.
• ენერგეტიკის სექტორში იმ ბარიერებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომლებსაც აწყდებიან ქალები და ახალგაზრდები, ყურადღება უნდა გამახვილდეს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ჩართულობას და მიღწევებს ამ სექტორში.

2. მარკეტინგული მიზნები:
• მკაფიოდ განსაზღვრეთ კონკრეტული მარკეტინგული მიზნები, რომლებიც შეესაბამება პროექტის საერთო მიზნებს, როგორიცაა ცნობიერების ამაღლება და ჩარიცხული ქალების რაოდენობის გაზრდა გარკვეული პროცენტით.
• დაისახეთ მიზნები, რომლებიც მიმართულია როგორც მოკლევადიან პერიოდში ცნობიერების ამაღლებაზე, ასევე თქვენს გრძელვადიან ჩართულობაზე სამიზნე აუდიტორიასთან.

3.სამიზნე აუდიტორიის სეგმენტაცია:
• სამიზნე აუდიტორიის უფრო ზუსტად იდენტიფიცირება და სეგმენტირება დემოგრაფიული მახასიათებლების, პროფესიული გამოცდილების, საგანმანათლებლო საჭიროებებისა და იმ ბარიერების განსაზღვრით, რომლებიც აფერხებს მათ ჩართვას პროგრამაში.
• აუდიტორიის ძირითადი სეგმენტებისთვის სახეების შექმნა, როგორიცაა ამბიციური ენერგეტიკოსი პროფესიონალი ქალები, საშუალო რგოლში მომუშავე ქალები, რომლებიც ცდილობენ ენერგეტიკული პროფესიების დაუფლებას და შესაბამისი სპეციალობების ახალგაზრდა კურსდამთავრებულები.

4. შემოქმედებითი სტრატეგია:
• შეტყობინებების თემებისა და კონცეფციების შემუშავება, რომლებიც რეზონანსდება სამიზნე აუდიტორიასთან, ხაზს უსვამს გაძლიერებას, კარიერულ წინსვლას და გენდერული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ენერგეტიკულ სექტორში.
• ინკლუზიური და მიმზიდველი ვიზუალური და ტექსტური კონტენტის შემუშავება, რომელიც ასახავს სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნებას და პროგრამის ღირებულებებს.
• შეტყობინებების შეჯამება, რომლებიც მიზნად ისახავს შენობებში ენერგოეფექტურობის სტანდარტების ცნობიერების ამაღლებას.

5. საკომუნიკაციო არხების შერჩევის სტრატეგია:
• საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება და პრიორიტეტიზაცია სამიზნე აუდიტორიის სხვადასხვა სეგმენტების მოცვაში მათი ეფექტურობის მიხედვით.
•მუშაობის დაგეგმვა როგორც ციფრულ, ასევე ტრადიციულ მედიასთან.

6. რესურსების განაწილება:
• ბიუჯეტისა და რესურსების განაწილების დეტალური გეგმის შემუშავება.

7. განხორციელების განრიგი:
• გეგმის თითოეული კომპონენტის შესრულების მკაფიო ვადების განსაზღვრა, მათ შორის ძირითადი ეტაპების და ვადების, კონტენტის შექმნის, გავრცელების და შეფასების ფაზებისთვის.

8. შეფასება:

მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის შესაფასებლად ძირითადი ინდიკატორების დადგენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების გადანაწილება სქესის მიხედვით.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა:
ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე; მარკეტინგული გეგმის პროექტი უნდა იყოს წარმოდგენილი კომენტარების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში; საბოლოო დოკუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი ინგლისურ და ქართულ ენაზე

ხელშეკრულების მისაღებად პოტენციურმა პრეტენდენტებმა (ფიზიკურმა პირებმა ან კომპანიებმა) უნდა წარმოადგინონ:

- მომსახურების ხარისხის, შესაბამისი გამოცდილების და ტექნიკური უნარების ამსახველი დოკუმენტაცია/მასალა.
- ორგანიზაციის/ფიზიკური პირის შესაბამისი გამოცდილება მსგავსი კონტრაქტების განხორციელების აღწერა.
- მდგრადობის, გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის გაგების დემონსტრირება.
- ფიქსირებული ფასის შემოთავაზება.

დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენა ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **eecgeo@eecgeo.org**

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა - **2024 წლის 5 ივნისი - 17:00**